

საინფორმაციო ბიულეტენი

გამოცემა N1

მაისი, 2020 წელი

(K) KUDOS GEORGIA

ახალი კორონავირუსის (COVID - 19) პანდემიის შედეგად გახორციელებული საგადასახადო ცვლილებები

ახალი კორონავირუსის (Covid-19) გლობალური პანდემიის გამო მთელი მსოფლიო მძიმე კრიზისის წინაშე აღმოჩნდა, რამაც განაპირობა არაერთი ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლების ვარდნა.

მძიმე ეკონომიკური პროგნოზების გამო, სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები ეკონომიკის, ბიზნესისა და შრომის ბაზრის მხარდაჭერისკენ მიმართულ ნაბიჯებს დგამენ.

ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობისა და ეკონომიკის სტიმულირების მიზნით საქართველოს მთავრობის მხრიდან არაერთი ნაბიჯი გადაიდგა, მათ შორის მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საგადასახადო მიმართულებით, როგორც კანონმდებლობის ცვლილების ასევე ადმინისტრირების კუთხით.

აუდიტორული კომპანია **Kudos Georgia** პერიოდულად გაგაცნობთ ინფორმაციას საქართველოში საგადასახადო კუთხით განხორციელებული თუ დაგეგმილი მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ.

Covid-19-თან დაკავშირებული
მნიშვნელოვანი
საგადასახადო ცვლილებები

Covid-19-თან დაკავშირებული
სიტუაციური
სახელმძღვანელოები

მთავრობის ანტიკრიზისული
გეგმით გათვალისწინებული
ინიციატივები

2020 წლის 4 მაისის მდგომარეობით საგადასახადო მიმართულებით განხორციელდა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციას დაემატა შემდეგი შინაარსის IV¹ თავი: საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ელექტრონული ფორმით გაგზავნის და საჯაროდ გავრცელების წესი, რომლის მიხედვითაც დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება მომჩივანს შეიძლება გაეგზავნოს ელექტრონული ფორმით ან გავრცელდეს საჯაროდ. (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №35 ბრძანება);
- ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციას ასევე დაემატა ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე გადასვლის საკითხებიც. ამისათვის აუცილებელია გადასახადის გამამხდელის მიერ ვიდეო ზარით მიმართვა საგადასახადო ორგანოსთან ან №1-07 დანართის შესაბამისად უნდა წარადგინოს განცხადება. აღსანიშნავია რომ ამ ბრძანების მოქმედება ვრცელდება 2020 წლის 21 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №102);
- სატრანსპორტო საშუალებაზე სტაციონალურად დამაგრებული მრავალჯერადი გამოყენების ლუდის გადასახადი ჭურჭლის სავალდებულო ნიშანდება ხორციელდება შერჩეული პირის მიერ გაცემული მატერიალური ფორმის აქციზური მარკით, რომელიც, შესაბამისი ჭურჭლის ყოველი შევსებისთანავე, დატანილი უნდა იყოს ამ ჭურჭლის თვალსაჩინო ადგილზე. (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №74 ბრძანება);
- მშენებლობასთან დაკავშირებული საქონლის ტრანსპორტირებისას სასაქონლო ზედნადების გამოწერა არ არის სავალდებულო, თუ ტრანსპორტირების დაწყების და დასრულების პუნქტები მდებარეობს სამშენებლო მოედნის ფარგლებში. (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №85 ბრძანება);
- ვინაიდან დღეისათვის არსებული მდგომარეობით აუცილებელია სამედიცინო სფეროს აქტიური მხარდაჭერა, მოხდა სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისათვის განკუთვნილი საქონლის ნუსხის გაფართოებაც,

რომლის მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლების გარეშე“. აღსანიშნავია, რომ ამ ბრძანების ცვლილება ძალაშია 2020 წლის 1 ოქტომბრამდე. (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №01-36/ნ/№89 ბრძანება);

- პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, ავტომობილორების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ავტომობილორებს 2020 წლის 1 აპრილამდე შემოყვანილი ავტომობილების განბაჟების ვადა გაუნანგრძლივოს. ასევე საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 2020 წლის 1 აპრილამდე შემოყვანილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მფლობელი თავისუფლდება აღნიშნული სატრანსპორტო საშუალების წარდგენის/ზოგადი დეკლარირების/დეკლარირების ვადის ან სატრანსპორტო საშუალების გამოცხადების ვადის დარღვევისათვის ან საბაჟო პროცედურის პირობების დარღვევისათვის საქართველოს საბაჟო კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, აგრეთვე აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებაზე საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის განსაზღვრული საურავისაგან. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია 2020 წლის 1 სექტემბრამდე უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალების საბაჟო პროცედურაში მოქცევა ან მისი რეექსპორტი. წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე არ გავრცელდება ზემოთ აღნიშნული შეღავათები. (საქართველოს ფინანსთა მინისტრის №78 ბრძანება);
- პანდემიისა და ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში გამარტივდა ასევე ზოგიერთი სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციის იმპორტი (შინაური ბინადარი ცხოველის ნედლი საკვები, მეფუტკრეობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი და სხვა). აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ემსახურება ბიზნესის ხელშეწყობას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

ფაქტორია ახალი კორონავირუსის (COVID-19) ეპიდემიის ფონზე არსებულ გამოწვევათა დაძლევისათვის. (საქართველოს მთავრობის №225 და №226 დადგენილებები);

- ტურიზმის სფეროში საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში ტურისტულ სექტორში დასაქმებულ პირებს, ასევე იმ ბიზნეს სუბიექტებს, რომელთაც შეჩერებული აქვთ საქმიანობა შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე შესაძლებლობა ეძლევათ, 4 თვის ვადით, მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე, გადაივადონ დეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებები საშემოსავლო და ქონების გადასახადის ნაწილში. აღნიშნული შედეგით ეხება საშემოსავლო და ქონების გადასახადის დეკლარაციებს, რომელთა წარმოდგენაც მოხდება მარტის, აპრილის, მაისის და ივნისის თვეებში. ამ პერიოდში დეკლარირებულ დავალიანებაზე სსკ-ით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებები არ გატარდება, ხოლო საშეღავათო პერიოდის, შესაბამის ნაწილში დარიცხული საურავი დაექვემდებარება ჩამოწერას;
- 2020 წლის 23 მარტის მდგომარეობით და მას შემდეგ საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში, გადასახადის გადამხდელის დროებითი აღრიცხვის ბარათზე აღრიცხული საგადასახადო ვალდებულებები/სანქციები პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე გადატანილი იქნეს:
 - ა) საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან 31-ე დღეს, თუ პირს აღნიშნულ ვადამდე არ გაუსაჩივრებია საგადასახადო/საბაჟო ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილება;
 - ბ) საგანგებო მდგომარეობის გაუქმებიდან 21-ე დღეს, თუ პირს აღნიშნულ ვადამდე არ გაუსაჩივრებია დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება;

შემოსავლების სამსახურმა საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით გამოსცა სიტუაციური სახელმძღვანელოები, რომლებიც განიხილავენ ცალკეული საგადასახადო სიტუაციებს:

- იმის გათვალისწინებით, რომ ცალკეული სამეწარმეო საქმიანობა შეჩერებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობით (მთავრობის დადგენილებით) მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებლად, საგანგებო მდგომარეობის არსებობის პერიოდში მეიჯარის მიერ გაწეული მომსახურება არ განიხილება:
 - უსასყიდლო მომსახურებად და შესაბამისად გადასახადებით დაბეგვრის ობიექტად;
 - მოიჯარის მიერ მიღებულ სარგებლად. (სიტუაციური სახელმძღვანელო №2537)
- ფიქსირებული გადასახადის მფლობელებს, რომელთა საქმიანობა შეჩერებული იქნა საგანგებო მდგომარეობის გამო, საგადასახადო ორგანო საშუალება აძლევს, რომ არ განახორციელონ საგადასახადო ანგარიშგება საქმიანობის შეჩერების შესახებ შესაბამისი განცხადების წარდგენის გარეშეც. (მაგ. სილამაზის სალონის მფლობელები) (სიტუაციური სახელმძღვანელო №2538);
- იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება შეჩერდა მთავრობის დადგენილებით და დაქირავებულთა ტრანსპორტირების გარეშე შეუძლებელია პირის(დამქირავებლის) ეკონომიკური საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება, დაქირავებულთა სხვადასხვა ფორმით ორგანიზებულ გადაყვანა არ განიხილება დამსაქმებლის მიერ მომსახურების გაწევად ან/და დაქირავებული პირის მიერ მიღებულ ხელფასად და საგადასახადო ვალდებულებები არ წარმოიქმნება. (სიტუაციური სახელმძღვანელო №2539);
- სასტუმროს სექტორისათვის ხელშეწყობის მიზნით, პირის მიერ, რომელიც ახორციელებს სასტუმრო საქმიანობას, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, შესაბამისი პირების სავალდებულო კარანტინის ფარგლებში უსასყიდლოდ განთავსება

განიხილება სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ მომსახურების გაწევად. შესაბამისად, ასეთი მომსახურება თავისუფლდება მოგების გადასახადისა და დღგ-ისაგან (ჩათვლის უფლებით); ასევე, შესაბამის შემთხვევებში, პირის ერთობლივ შემოსავალში ასახვას არ ექვემდებარება, ხოლო ამ მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯი გამოიქვითება. (სიტუაციური სახელმძღვანელო №2539);

- ➔ ახალი კორონავირუსის (Covid-19) წინააღმდეგ ბრძოლისთვის ბიზნესობიექტების აპარატისა და კერძო სექტორის კოორდინაციით StopCoV ფონდი შეიქმნა. საქართველოს მთავრობის ინიციატივით საწარმოების მიერ თანხის გადარიცხვა სახელმწიფო ხაზინაში STOPCOV ფონდის ანგარიშზე, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების განხორციელებასა და სახელმწიფოსთან სოლიდარული თანამშრომლობის და შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფის მიზნით, არ წარმოადგენს მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციას, თუ საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგრის ობიექტების მიხედვით. ხოლო თუ საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტია შესაბამისი კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობა, მაშინ გადარიცხული თანხები, როგორც სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემული, გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან. (სიტუაციური სახელმძღვანელო №2541);

2020 წლის 24 აპრილს საქართველოს მთავრობამ წარადგინა ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა, რომელიც მოქალაქეთა სოციალური დახმარების კომპონენტებთან ერთად ითვალისწინებს რიგ ინიციატივებს, როგორც ბიზნეს სუბიექტების ასევე ფიზიკური პირების დახმარების კუთხით

საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება

2020 წლის 1 მაისიდან 6 თვის განმავლობაში თვეში 750 ლარის ხელფასზე საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლდა ის ფიზიკური პირები, რომლებიც დაქირავებით არიან დასაქმებულები და ამ 6 თვიან პერიოდში, თითოეულ თვეში მათი ხელფასი არ აღემატება 1,500 ლარს.

დამსაქმებელი მოიცავს ყველა ტიპის საწარმოს, მათ შორის, კომპანიებს, საწარმოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე მეწარმე ფიზიკურ პირებს, რომლებსაც დაქირავებული ჰყავთ ფიზიკური პირები, მათი შესრულებული სამუშაოების შესაბამისად უხდიან ხელფასს და ამავდროულად იხდიან საშემოსავლო გადასახადს.

შეღვათით ისარგებლებენ მხოლოდ კერძო სექტორში მოღვაწე ორგანიზაციები და აღნიშნული შეღვათი არ გავრცელდება საჯარო სექტორში არსებულ ორგანიზაციებზე.

როგორ ისარგებლებენ საწარმოები შეღვათით:

მაისი-ოქტომბრის პერიოდში, ხელფასების გაცემის დროს საშემოსავლო გადასახადს:

- საერთოდ არ გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელთა ხელფასიც 750 ლარი ან უფრო ნაკლებია;
- ნაწილობრივ გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელთა ხელფასიც მეტია 750 ლარზე და არ აღემატება 1500 ლარს. ამ შემთხვევაში დარიცხულ ხელფასს აკლდება 750 ლარი და დარჩენილი თანხა იბეგრება საშემოსავლო გადასახადით; მაგ: თუ საწარმოში დასაქმებული პირის დარიცხული ხელფასი შეადგენს 1000 ლარს, აღნიშნულ თანხას აკლდება 750 ლარი და საშემოსავლო გადასახადს იხდის მხოლოდ დარჩენილ 250 ლარზე (50 ლარს)
- სრულად გადაიხდიან იმ დაქირავებულებზე, რომელზეც კონკრეტულ თვეში ხელფასი იქნება 1500 ლარზე მეტი;

დაქირავებულთა (თანამშრომელთა) დახმარება, რომელთაც ადარ ერიცხებათ ხელფასი

კორონავირუსის პანდემიის შედეგად ბევრი საწარმო იძულებული გახდა შეემცირებინა თანამშრომელთა რაოდენობა ან გაეშვა თანამშრომელი უხელფასო შვებულებაში. ორივე შემთხვევაში მოქალაქეები ვეღარ იღებენ ყოველთვიურ ხელფასს.

აღნიშნული პირების დასახმარებლად დაწესდა 1,200 ლარიანი კომპენსაცია, რომლის გაცემა განხორციელდება 6 თვის განმავლობაში, ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით.

კომპენსაციის მიღება შეეძლება იმ დაქირავებულებს, რომლებიც 2020 წლის პირველ სამ თვეში (იანვარი, თებერვალი, მარტი) ერთხელ მაინც აქვთ აღებული ხელფასი და ამის შესახებ მის დამქირავებელს საგადასახადო დეკლარაციასთან ერთად, შემოსავლების სამსახურში წარმოდგენილი აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამ პირზე გაიცა ხელფასი.

თვითდასაქმებულთა ერთჯერადი დახმარება

საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის შესაბამისად თვითდასაქმებულებისთვის ერთჯერადი კომპენსაციის მოცულობა განსაზღვრულია 300 ლარის ოდენობით.

თვითდასაქმებულად ითვლება ყველა ის ფიზიკური პირი, რომელიც ეწეოდა რაიმე ტიპის ეკონომიკურ საქმიანობას და იღებდა შემოსავალს, გარდა დაქირავებით დასაქმებულისა.

კომპენსაციის მისაღებად აუცილებელია დასტურდებოდეს, რომ ეს პირი 2020 წლის პირველ კვარტალში ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობას ან/და ჰქონდა შემოსავალი.

თვითდასაქმებული პირები იყოფიან 2 კატეგორიად:

- ფიზიკური პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შემოსავლების სამსახურში;
- ფიზიკური პირები, რომლებიც ეწეოდნენ ეკონომიკურ საქმიანობას ან/და ჰქონდათ შემოსავალი, თუმცა არ არიან რეგისტრირებული შემოსავლების სამსახურში, შესაბამისად არ ჩანს მათი ეკონომიკური აქტივობა და არ იხდიდნენ კუთვნილ გადასახადებს.

თვითდასაქმებულთა იდენტიფიცირებისათვის შემოსავლების სამსახურის მიერ შემუშავებულია სპეციალური პროცედურები.

საკონტაქტო ინფორმაცია

Kudos Georgia

T. +995 322 10 34 10; +995 599 93 45 95

services@kudos.ge | www.kudos.ge

ილიკო ქურხულის 5ა, თბილისი, 0103, საქართველო



აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილი მოსაზრებები არის ზოგადი ხასიათის და კონკრეტული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება საჭიროებდეს დაზუსტებას. საგადასახო მიმართულების საკითხების შესახებ მადალპროფესიული მომსახურების და კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ქუდოს ჯორჯიას საგადასახადო დეპარტმენტს.

Kudos Georgia წარმოადგენს აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო ქსელის - Kudos International Network-ის სრულუფლებიან წევრს საქართველოში.

Kudos International Network წარმოდგენილია მსოფლიოს 25 - ზე მეტ ქვეყანაში.

